

ნარკოპოლიტიკა საქართველოში

2021 წლის ტენდენციები



სოციალური
საგარეოაშოვის
სახელმწიფო

ნარკოპოლიტიკა საქართველოში 2021 წლის ტენდენციები



სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი



ლე
საზოგადოების
ფონდი

მოცემული ანგარიში მომზადდა პროექტის – „ჰუმანური ნარკოპოლიტიკის და სამართალდამცავი სისტემის მხარდაჭერა საქართველოში“, ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია ღია საზოგადოების ფონდის მიერ.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები გამოხატავს ავტორის პოზიციას და შესაძლოა, არ ასახავდეს ღია საზოგადოების ფონდის შეხედულებებს.

ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი: გურამ იმნაძე

ანგარიშის ავტორი: გიორგი ფოცხვერიშვილი

რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე

ISBN: 978-9941-8-4459-1

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

სარჩევი

შესავალი	6
მეთოდოლოგია	7
ძირითადი მიგნებები:	7
1. 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებები	9
1.1. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობების განსაზღვრა	9
1.2. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში	11
1.2.1. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის დაუსაბუთებლობის პრობლემა	12
1.2.2. ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით მსჯავრდების დინამიკა	14
1.2.3. მომხმარებლისა და გამსაღებლის გამიჯვნის საკითხის პრობლემურობა	16
2. ნარკოდანაშაულის სტატისტიკური მონაცემების შეფასება	18
2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა	19
2.2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და ნარკოტიკულ დანაშაულებზე დამდგარი განაჩენების სტატისტიკა	21
2.3. იძულებით ნარკოტესტირებაზე მოქალაქეთა წარდგენის დინამიკა	24
2.4. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე	26
2.5. შეწყალების მექანიზმი	28
3. პრევენცია და ზიანის შემცირება	31
3.1. ნარკოტიკული საშუალებებით ზედოზირებისას ლეტალური შედეგის პრევენცია	32
3.2. ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამები	34
შეჯამება და რეკომენდაციები	37

შესავალი

წარმოდგენილი ანგარიშის მიზანია, მიმოიხილოს 2021 წელს საქართველოში ნარკოპოლიტიკის კუთხით გატარებული ცვლილებები, გამოკვეთოს არსებული გამოწვევები და შეაფასოს ნარკოტიკულ დანაშაულებზე ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა.

2021 წელი, წინა წლის მსგავსად, არ გამოირჩეოდა ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით კანონმდებლობის გამოსწორებით ან არსებითად განსხვავებული მიდგომის დანერგვით. თემას, ფართო პოლიტიკურ ჭრილში, დაკარგული აქვს აქტუალობა და არც აღმასრულებელი და არც საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის არ წარმოადგენს პრიორიტეტულ საკითხს. საანგარიშო წელიწადში განხორციელდა რამდენიმე ფრაგმენტული საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც არსებითად არ ცვლის სახელმწიფოს ქცევის მოდელებს ნარკოტიკულ დანაშაულსა და ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სახელმწიფო კვლავაც არ ავლენს ნარკოპოლიტიკის ძირეულად გარდაქმნისთვის მზადყოფნას, რაზეც მიუთითებს კანონმდებლობაში არათანმიმდევრული ცვლილებები, რომელთა შედეგადაც, ერთი მხრივ, მცირედით უმჯობესდება სახელმწიფოს მიდგომა¹ ნარკოტიკის მომხმარებელთა მიმართ, მეორე მხრივ კი, პირიქით, არსებითად მძიმდება კონკრეტული ნარკოტიკული დანაშაულებისთვის დაწესებული ისედაც მძიმე სასჯელები.²

საანგარიშო წელს სახელმწიფოს მუშაობა ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის კუთხით ეფექტიანი არ ყოფილა, თუმცა ეს საკითხი 2021 წელს რამდენჯერმე გახდა საზოგადოების ყურადღების ობიექტი. პრობლემური იყო 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდი, როდესაც მმართველმა გუნდმა წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი კონკურენტი პოლიტიკოსის მიერ ნარკოტიკული ნივთიერების შესაძლო მოხმარების საკითხს დააფუძნა და მისგან ნარკოლოგიური შემოწმების ტესტის პასუხების გასაჯაროება მოითხოვა. ეს არ წარმოადგენს ერთეულ შემთხვევას და ნარკოტიკების შესაძლო მოხმარებასთან დაკავშირებული სტიგმა არაერთხელ გამხდარა პოლიტიკური ბრძოლის იარაღი, თუმცა წინასაარჩევნო კონტექსტში ამ საკითხის ერთ-ერთ წამყვან თემად შემოტანა და ამ გზით ოპონენტების წინააღმდეგ კამპანიის წარმოება კიდევ უფრო ზრდის ნარკოტიკის მომხმარებლის მიმართ სტიგმას და საზოგადოებრივ გარიყულობას.

1 მაგალითად, 2021 წლის 5 მარტის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც 8 სახის ნარკოტიკულ ნივთიერებაზე მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობა ახლებურად განისაზღვრა.

2 მაგალითად, 2021 წლის 1-ლი დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც გამკაცრდა პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლით გათვალისწინებულ ზოგიერთ დანაშაულზე.

ანგარიში აერთიანებს 2021 წლის ნარკოპოლიტიკის ტენდენციებს, კანონმდებლობასა და შესაბამის აკადემიურ წყაროებზე დაყრდნობით ანალიზებს არსებულ გამოწვევებს და წარმოადგენს სოციალური სამართლიანობის ცენტრის რეკომენდაციებს სახელმწიფო დაწესებულებებისადმი.

მეთოდოლოგია

ანგარიში მომზადდა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კონკრეტულად, ქვეყანაში ნარკოვითარების შესწავლის მიზნით გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოტანილი განაჩენების, ნარკოტესტირების, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა და სხვა რელევანტური საკითხების შესახებ. ასევე, ანგარიშის მიზნებისთვის განხორციელდა შესაბამისი კანონმდებლობის, კვლევების, ანგარიშებისა და მედიაწყაროების შესწავლა და ანალიზი.

ძირითადი მიგნებები

ანგარიშმა გამოკვეთა 2021 წლის მდგომარეობით ქვეყანაში გატარებული ნარკოპოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები:

- არ შეცვლილა სახელმწიფოს მიდგომა ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით. მკაცრი ნარკოპოლიტიკა კვლავ წარმოადგენს ქვეყნის სისხლის სამართლის პოლიტიკის ნაწილს. შესაბამისად, ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლა კვლავ რეპრესიული და არა ბრუნვაზე ორიენტირებული ინსტრუმენტებით მიმდინარეობს;
- კონკრეტულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე მაღალი სასჯელის კიდევ უფრო დამძიმება, მიუხედავად მისი კონტრპროდუქტიულობისა, კვლავ სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება;
- საჯარო დაწესებულებები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა და საერთო სასამართლოები კვლავ არასრულყოფილად აწარმოებენ ნარკოდანაშაულებთან დაკავშირებულ სტატისტიკას;
- წინა წელთან შედარებით, 12%-ით გაზრდილია რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის რაოდენობა. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3319

ნარკოტიკული დანაშაულის ფაქტზე, რაც 2020 წელთან შედარებით 10%-იან ზრდას წარმოადგენს, თუმცა მნიშვნელოვნად ნაკლებია 2019 წლის მაჩვენებელზე (6415 რეგისტრირებული დანაშაული);

- პირველი ინსტანციის სასამართლოებში 2021 წელს ნარკოტიკული დანაშაულებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ყველაზე იშვიათად გამოიყენებოდა და ჯამში ბრალდებულთა 13%-ს შეუფარდეს. ეს მაჩვენებელი 2020 წელს 20%-ს შეადგენდა;
- დადებითი დინამიკა შეინიშნება ნარკოტიკულ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა სტატისტიკაში. ნარკოშემოწმებაზე წარდგენილ პირთა რაოდენობა ყოველწლიურად იკლებს და 2021 წელს ტესტირებაზე გადაიყვანეს მხოლოდ 4225 პირი, რომელთა 60%-ზე მეტს დაუდასტურდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება;
- შემცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის როგორც 45-ე, ისე 45¹ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა ოდენობა. 2020 წელთან შედარებით (1093 პირი), ასკ-ს 45-ე მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა 719 პირს, რაც 34%-იან კლებას წარმოადგენს, ხოლო 45¹ მუხლის საფუძველზე სამართალდამრღვევად ცნეს 1313 პირი, შესაბამისად, აღინიშნება 36%-იანი კლება, წინა წელთან (2075 პირი) მიმართებით;
- სახელმწიფომ ნაწილობრივ გაითვალისწინა ნარკოპოლიტიკის საკითხზე მომუშავე სათემო ორგანიზაციების მოწოდება და პრეპარატი „ნალოქსონი“, რომელიც ოპიოიდებით ზედოზირების დროს პირველად დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, შეიტანა ე.წ. „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ პრეპარატების სიაში, რითაც გაზარდა ხელმისაწვდომობა აღნიშნულ მედიკამენტზე.

1. 2021 წლის საკანონმდებლო ცვლილებები

2021 წელს საქართველოს პარლამენტს აქტიური მუშაობა არ გაუწევია ეროვნულ ნარკოკანონმდებლობაში ძირეული ცვლილებების გასატარებლად. საანგარიშო წელში საკანონმდებლო ორგანოში ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ ორ კანონპროექტზე იმსჯელეს. 2021 წლის 5 მარტს ცვლილებები შევიდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, 2021 წლის 1 დეკემბერს კი ძალაში შევიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი. აღნიშნული თავი სწორედ ამ საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს ეთმობა.

1.1. ნარკოტიკულ ნივთიერებათა ოდენობების განსაზღვრა

სოციალური სამართლიანობის ცენტრის ანგარიშში, რომელიც 2020 წელს საქართველოში ნარკოპოლიტიკის ტენდენციებს აჯამებს, ყურადღება უკვე გამახვილდა 2021 წლის დასაწყისში განხორციელებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე, კერძოდ, 2021 წლის 5 მარტს მიღებულ კანონზე, რომლითაც ცვლილებები შევიდა „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში³ და 8 ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დადგინდა მცირე, სისხლისსამართლებრივი დევნის საწყისი, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობები. ცენტრი კანონის მიღებისთანავე აკრიტიკებდა იმ ფაქტს, რომ აღნიშნული ცვლილებები ატარებდა ზედაპირულ ხასიათს და არ ცვლიდა დამკვიდრებულ მკაცრ პრაქტიკას.⁴ კერძოდ, გატარებული ცვლილებები მიემართებოდა ნარკოტიკული ნივთიერებების ეპიზოდურ მომხმარებელთა უფლებრივ მდგომარეობას, მაგრამ არ პასუხობდა ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებლის წინაშე მდგარ გამოწვევებს.

მიღებული საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული ოდენობების რეალური ეფექტი ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაწილში მეტად ლიმიტირებულია. მაგალითად, ახლებური მოწესრიგების მთავარი მიღწევაა ის, რომ მითითებული ნივთიერებების⁵ მოსახმარებლად უვარგისი ოდენობით ფლობის შემთხვევაში, პიროვნება არ დაექვემდებარება სისხლისსამართლებრივ

3 2021 წლის 5 მარტის საქართველოს კანონი, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, დოკ. ნრ.: 324-IVმს-Хმპ, ხელისაწვდომია: <https://bit.ly/3J8T39o>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

4 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, „ნარკოპოლიტიკა საქართველოში. 2020 წლის ტენდენციები“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LqNK6R>.

5 აძვეტამინი, დეზომორფინი, ლიზერგინის ჰევა, მდმა, მეთადონი, მეთკანინონი, მეტამფეტამინი, ჰერონი.

პასუხისმგებლობას. ცვლილებების მიღებამდე არსებული მდგომარეობით კი, აღნიშნული ნივთიერებების ნებისმიერი, თუნდაც თვალთ უხილავი ოდენობით ფლობა, არა მხოლოდ იწვევდა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას⁶, არამედ, ხშირ შემთხვევაში, წარმოადგენდა მრავალწლიანი საპატიმრო სასჯელის შეფარდების მიზეზს. ცვლილება, ამ ნივთიერებებთან მიმართებით, მომავალში გამორიცხავს აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის გაგრძელებას, რაც მისასალმებელია, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა კვლავაც ითვალისწინებს მრავალწლიან სასჯელს ნარკოტიკული ნივთიერებების სტაბილური მომხმარებლისთვის, ერთჯერადი მოხმარებისთვის საკმარისი ოდენობის აღმოჩენის შემთხვევაში. ამდენად, განხორციელებული ცვლილებები, არ მიემართება ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა სწორედ იმ კატეგორიას, რომელთა უფლებრივი მდგომარეობაც ყველაზე მეტად საჭიროებს გაუმჯობესებას.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებიდან გამოითხოვა სტატისტიკური ინფორმაცია ცვლილებებიდან გამომდინარე, სასამართლოსთვის ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის თაობაზე შესული შუამდგომლობების წარმოებაში მიღებისა და გამოტანილი განაჩენების/განჩინებების შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სოციალურ სამართლიანობის ცენტრისთვის არ მოუწოდებია ინფორმაცია სასამართლოში გემოაღნიშნული საფუძვლით შესული შუამდგომლობების რაოდენობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.⁷ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასევე უცნობია, თუ რამდენმა მსჯავრდადებულმა მიმართა სასამართლოს გემოაღნიშნული ცვლილებებით წარმოშობილი ახლად გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით. რაც შეეხება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ამ უკანასკნელმა ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვა სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიმართვა ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს, რომ იმგვარი სტატისტიკური მონაცემების დამუშავებული სახით არარსებობა, რომელიც კონკრეტული საკანონმდებლო ცვლილების რეალური გავლენის შეფასების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს, ხელს უშლის როგორც მართებულ და სტრატეგიულ კანონშემოქმედებით საქმიანობას, ისე, ზოგადად, სისხლის სამართლის პოლიტიკის კვლევასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების პროცესს.

6 თუმცა აღნიშნული საკითხის მოწესრიგება მცირედად უკვე შეცვლილი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით, №1/19/1265,1318 საქმეზე „ნოე კორსავა და გიორგი გამგებელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ,“ 2020, რომლის მიხედვითაც არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული მოხმარებისთვის უვარგისი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შენახვაზე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DJfA1X>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

7 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 25.02.2022 წლის ნ.რ. 1/1174 წერილით, გვეცნობა, რომ სააპელაციო სასამართლო, ახლად გამოვლენილი გარემოებების თაობაზე შესულ შუამდგომლობებსა და გამოტანილ განაჩენებს არ აღრიცხავს, საფუძვლის მიხედვით.

1.2. ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, 2021 წლის ნოემბერში ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ნარკოვითარების შესახებ კომენტარისას განაცხადა, რომ „მიმდინარე ლიბერალური ნარკოპოლიტიკა არის აბსოლუტურად მავნებლური“.⁸ პრემიერ-მინისტრმა იქვე განაცხადა, რომ ნარკოტიკული საშუალებების ავადმომხმარებლისა და პრევენციისთვის საუკეთესო მექანიზმად დასაქმებას და სპორტს მიიჩნევს, თუმცა, ამავდროულად, აქტიურად მუშაობს სახელმწიფო კონტროლის გამკაცრების მიმართულებით. პრემიერ-მინისტრის განცხადება არ ეყრდნობა ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის შესახებ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებს, რეალურ მტკიცებულებებს და წარმოადგენს პოლიტიკურ პოპულიზმს.⁹ ამას ადასტურებს თავად სახელმწიფოს მიერ წარმოებული სტაბილურად კლებადი ნარკოსტატიისტიკის მონაცემებიც. სოციალური სამართლიანობის ცენტრის შეფასებით, პრემიერის ამ განცხადების მიზანი იყო საზოგადოებისთვის სენსიტიური თემით მანიპულირება და არ ემსახურებოდა ნარკოპოლიტიკის კუთხით არსებული გამოწვევების ძირეულ გააზრებას.

პრემიერის განცხადებიდან მალევე, 2021 წლის ბოლოს, ძალაში შევიდა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, რომლითაც არსებითად დამძიმდა სასჯელი ნარკოტიკული საშუალებების გასაღებისთვის¹⁰. აღნიშნული ცვლილებები ერთმნიშვნელოვნად ამკაცრებს ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებისთვის დაწესებულ სანქციას (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4, მე-5 ნაწილები), ასევე, კანონმდებელს შემოაქვს მე-7 ნაწილი, რომელიც „განსაკუთრებით დიდი ოდენობით“ და „ორგანიზებული ჯგუფის მიერ“ ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებისთვის კიდევ უფრო მკაცრი სანქციის დაწესებას ემსახურება. რაც შეეხება სისხლის სამართლის 261-ე მუხლში შესულ ცვლილებებს – ერთი მხრივ, ცალკე დანაშაულად გამოიყო ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების გასაღება და იგი გაიმძიმა ასეთი ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა-გადაგზავნისგან. აღნიშნული ცვლილება, ერთი მხრივ, წარმოადგენს პოზიტიურ სიახლეს, ვინაიდან მოხდა ფართო გაგებით შენახვისა და გასაღების გამიჯვნა, თუმცა მითითებულ დანაშაულზე გაორმაგდა თავდაპირველად არსებული სასჯელი, რაც მოქმედ ნარკოპოლიტიკას კიდევ უფრო რეპრესიულს ხდის.

8 პრემიერ-მინისტრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37dzDD0>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

9 იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრის გამოხმაურება პრემიერ-მინისტრის განცხადებაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JRLAWD>.

10 საქართველოს 2021 წლის 1 დეკემბრის კანონი N 1037, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Izvpw5>.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღება, მისგან მომავალი მაღალი საზოგადოებრივი საფრთხიდან გამომდინარე, ხშირად სამართლიანად, მაღალი სანქციით ისჯება. სწორედ ამის გამო, გაეროს 1961 წლის ერთიანი კონვენცია, ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესახებ,¹¹ ნარკოტიკული ნივთიერების იმგვარ ფლობას, რომელიც მის გასაღების მიზანს მოიაზრებს, სავალდებულოდ დასჯად ქმედებად მიიჩნევს. თუმცა ქართული კანონმდებლობა ისედაც გამოირჩეოდა მაღალი სანქციებით და ნარკოტიკული დანაშაულების თავში შეტანილი ცვლილებები და სასჯელთა გამკაცრება არ ემსახურება საქართველოს მიერ ნაკისრი რაიმე კონვენციური ვალდებულების შესრულებას; პირიქით, ცვლილებები კიდევ უფრო რეპრესიულ მოწესრიგებას ითვალისწინებს, რამაც შესაძლოა, არსებითად გააუარესოს ნარკომომხმარებლის უფლებრივი მდგომარეობა, გაართულოს ან შეუძლებელი გახადოს ნარკომომხმარებელთა ან ნარკოგამსაღებელთა რესოციალიზაცია და ამასთან, უმნიშვნელოდაც ვერ შეცვალოს ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა.

1.2.1. კანონპროექტის განმარტებითი ბარათის დაუსაბუთებლობის პრობლემა

პრობლემურია ისიც, რომ კანონპროექტის განმარტებითი ბარათი მეტად ზედაპირული და ზოგადია. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ საქართველო, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, „ხშირად წარმოადგენს [ნარკოტიკული ნივთიერებების] სატრანზიტო დერეფანს“, რის წინააღმდეგ საბრძოლველადაც, არსებით ბერკეტად, შინაგან საქმეთა სამინისტრო სწორედ ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებისთვის სასჯელის ზრდას ხედავს.¹² იმ შემთხვევაში, თუ შსს ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერებების შემოტანას მიიჩნევს მთავარ გამოწვევად¹³, ჩნდება კითხვა, თუ რატომ არ შევიდა ცვლილებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლში, რომელიც სწორედ ნარკოტიკული საშუალებების საზღვარზე შემოტანასა და ტრანზიტულ დანაშაულებს შეეხება. ამ დანაშაულისთვის კოდექსი 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო თუ ამგვარი ქმედება განხორციელდა „წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის“ მიერ ან შეეხება „დიდი ოდენობით“¹⁴ ნარკოტიკულ ნივთიერებას, სასჯელი 8-დან 12 წლამდე იზრდება.

11 ნარკოტიკული დანაშაულები. გველია და სხვები, 2020. ასევე შეად. გაეროს 1961 წლის ნარკოტიკულ ნივთიერებათა შესახებ ერთიანი კონვენცია კომენტარებს.

12 კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, გვ. 1, პუნქტი „ა.ა.ა.“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37q7adw>, წვდომის თარიღი 01.04.2022 წელი.

13 აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანის სტატისტიკა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლო 4 წლის სტატისტიკის საფუძველზე, ყოველწლიურად კლებადია, და, მაგალითად, თუ 2018 წელს მითითებული დანაშაულის რაოდენობა 204 იყო, 2021 წელს ამ რიცხვმა 54 შეადგინა. თუმცა აღნიშნული ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას პანდემიური მდგომარეობით გამოწვეული შეზღუდვებით.

14 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 262.

გატარებული ცვლილებებით, გამკაცრდა სასჯელი ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის და 6-11 წლამდე თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად, 10-15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა განისაზღვრა ამ ქმედების სასჯელად; ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით ან წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ გასაღების შემთხვევაში კი, მანამდე არსებული სანქცია – 7-14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა, გაიზარდა 12-დან 17 წლამდე პატიმრობით.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი არ მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია თუნდაც ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერების შემოტანისთვის დაწესებული სანქციის ზრდა, შესაბამისი მეცნიერული ცოდნის, დარგის ექსპერტთა, სათანადო სტატისტიკის თუ პროფესიული ლიტერატურის შესწავლისა და ანალიზის გარეშე, თუმცა თვალსაჩინოა, რომ საკანონმდებლო ცვლილებები არ ემყარება რაიმე ლოგიკურ დასაბუთებას და არ წარმოადგენს ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის სტრატეგიის გააზრებულ ნაწილს. შედეგად, აღნიშნული ცვლილებებით, იმ დანაშაულისთვის, რომელიც პოტენციურად შესაძლოა, მეტ საფრთხეს შეიცავდეს სახელმწიფოსთვის, ამ მდგომარეობით, გათვალისწინებულია უფრო დაბალი სანქცია, ვიდრე იმ სამართალდარღვევისთვის, რომელიც ნარკომომხმარებელთა მიერ ნარკოტიკის მოხმარების ჯაჭვის ერთ-ერთ ყველაზე საკვანძო, ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის ნაწილს შეეხება.

განმარტებით ბარათში ასევე ვკითხულობთ, რომ ცვლილებამდე არსებული სასჯელი ვერ ასრულებდა შემაკავებელ ფუნქციას და ნარკოტიკული ნივთიერებების გამსაღებელთა მიერ ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობით მიღებული პოტენციური სარგებელი, გადაწონიდა მოსალოდნელ სასჯელს.¹⁵ ამავდროულად, შსს-ს დასაბუთებით, ამ ცვლილებებით საქართველო ნარკოტიკულ ნივთიერებებთან ბრძოლის ევროპულ ტრადიციას იზიარებს. აღნიშნული მსჯელობა შესაძლოა, გასათვალისწინებელიც ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენდა კონკრეტულ მტკიცებულებებს და კვლევის შედეგებს, ერთი მხრივ, მოქმედი სანქციის არასაკმარის ქმედითობაზე, მეორე მხრივ კი, იმ ევროპულ გამოცდილებაზე, რომლისკენაც სამინისტრო ისწრაფვის. თუმცა ამგვარი ფაქტები სამინისტროს მიერ შემუშავებულ განმარტებით ბარათში არ გვხვდება. კანონის განმარტებითი ბარათის ტექსტში ვკითხულობთ, რომ კანონპროექტის შემუშავებისას შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გაუვლია კონსულტაციები სახელმწიფო, არასახელმწიფო ან საერთაშორისო დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, არ შეხვედრია ექსპერტებს, არ გაუმართავს სამუშაო შეხვედრა. მეტიც, სამინისტრო მიუთითებს, რომ წარმოდგენილ კანონპროექტამდე არ მომზადებულა რაიმე სახის მიმოხილვა ან შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნებში მსგავსი კანონის არსებობასა და

15 კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, პუნქტი „ა“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/37q7adw>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.¹⁶ ეს უკანასკნელი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ აღნიშნული კანონი არ შეუმუშავებიათ საუკეთესო ევროპული გამოცდილების ან მეცნიერული აზრის გათვალისწინებით.

ასევე საგულისხმოა, რომ ცვლილებები მიემართება ნარკოტიკული საშუალების გასაღებისთვის დაწესებული სასჯელის ქვედა ზღვარს. ერთი მხრივ, გასაგებია, როდესაც კანონმდებელი მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას, რომ ჩადენილი დანაშაულისგან მომდინარე საზოგადოებრივი საფრთხის გამო, ბრალდებულს, საჭიროების შემთხვევაში, შეუფარდოს მაღალი სასჯელი, თუმცა, მაშინ, როდესაც კანონმდებელი ამკაცრებს დანაშაულებრივი ქმედებისთვის დაწესებულ მინიმალურ სასჯელსაც კი, იგი საქმის განმხილველ მოსამართლეს უზღუდავს დისკრეციას, რომ დანიშნოს ისეთი სასჯელი, რომელიც სათანადოდ მიაჩნია ჩადენილი დანაშაულისთვის. მოსამართლეს, თავისი დისკრეციის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს, ინდივიდუალურ საქმეებზე, კონკრეტულ მტკიცებულებებზე, ბრალდებულის პორტრეტზე ან მისგან მომავალ საზოგადოებრივ საფრთხეზე დაყრდნობით დანიშნოს თუნდაც მძიმე სასჯელი და, რა თქმა უნდა, მას აღნიშნულის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, თუმცა დისკრეციის მნიშვნელობა სუსტდება, როდესაც კანონმდებლობით დადგენილი სანქცია იმგვარია, რომ სასჯელის დანიშვნისას მოსამართლეს არ შეუძლია ლავირება და მინიჭებული აქვს სასჯელშეფარდების მხოლოდ ლიმიტირებული შესაძლებლობა.

1.2.2. ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით მსჯავრდების დინამიკა

იმის შესაფასებლად, თუ რა სახის გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღება, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა სტატისტიკური ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოდან. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციით ირკვევა¹⁷, საანგარიშო წელს, მთლიანობაში, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგისა და პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო გასაღების ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა ჯამში 69 პირის მიმართ. ამათგან, 32 პირს სასჯელი შეეფარდა ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებისთვის, ხოლო 37 მსჯავრდებულს ნივთიერების დამამძიმებელ გარემოებებში¹⁸ გასაღებისთვის.

16 იქვე, პუნქტი „დ“.

17 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 25.02.2022 წლის N 3-129-22 წერილი.


18 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება ჩადენილია: „დიდი ოდენობით“ ნარკოტიკულ ნივთიერებასთან დაკავშირებით; „წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ“; „სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით“, „არაერთგზის“, „იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული“.

სსკ-ს 260-ე მუხლის მე-4 ნაწილი (ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება)	სსკ-ს 260-ე მუხლის მე-5 ნაწილი (ნარკოტიკული ნივთიერების გასაღება დამამძიმებელ გარემოებებში)
31 სისხლის სამართლის საქმე 32 მსჯავრდებული	28 სისხლის სამართლის საქმე 37 მსჯავრდებული

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკული საშუალებების ბრალდებით მიმდინარე სისხლის სამართლის ყველა საქმე, რომელზეც განაჩენი დადგა, გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდა, თუმცა მნიშვნელოვანია იმის იდენტიფიცირება, თუ რამდენად პრობლემურად დგას ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების საკითხი, როგორია ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების დინამიკა და მიმართება წინა წლებთან. ამ მიზნით საქართველოს უზენაესი სასამართლოდან დამატებით იქნა გამოთხოვილი 2019 და 2020 წლების სტატისტიკა, სწორედ დანაშაულის დინამიკის შესაფასებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილებით გასამართლდა და სასჯელი შეეფარდა 68 პირს, 2020 წელს კი – 48-ს.

ნარკოტიკული საშუალების გასაღების ბრალდებით გამოტანილი
განაჩენების სტატისტიკა 2019–2021 წლები



მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზეც რთულია აბსოლუტურად სარწმუნო დასკვნის გამოტანა მითითებული დანაშაულის გავრცელების თაობაზე, მოწოდებული მონაცემებით, მინიმუმ, დასტურდება ის ფაქტი, რომ ნარკოტიკის გასაღების დანაშაული გასულ სამ წელიწადში ათეულ შემთხვევებს არ სცდება და არ აღინიშნება ქვეყანაში ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების მზარდი ტენდენცია.

ამასთან, თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო განცალკევებით არ აწარმოებს ნარკოტიკული საშუალების გასაღების ფაქტზე რეგისტრირებული დანაშაულების სტატისტიკას. ნარკოტიკული საშუალების გასაღებას, თავისი სპეციფიკური შინაარსის მიუხედავად, შინაგან საქმეთა სამინისტრო ცალკე არ აღრიცხავს და ეს მონაცემები ითვლება 260-ე მუხლში მოაზრებულ სხვა დანაშაულებთან, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაგზავნასთან ერთად. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ განცალკევებით აწარმოოს ნარკოტიკული საშუალების გასაღებასთან დაკავშირებული რეგისტრირებული დანაშაულების სტატისტიკა. ასეთი სტატისტიკის არსებობა მოცემული საკანონმდებლო ცვლილებების პროცესშიც არსებითი ფუნქციის მატარებელი იქნებოდა და ხელს შეუწყობდა მტკიცებულებაზე დაფუძნებული საკანონმდებლო საქმიანობის წარმოების პრაქტიკას.

ყოველივე ხსენებულიდან გამომდინარე, აშკარად დაუსაბუთებელია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სასჯელის გამკაცრებასთან დაკავშირებით კანონპროექტის ინიცირება და პარლამენტის მიერ მხარდაჭერა. ისედაც მძიმე სასჯელისა და მკაცრი ნარკოპოლიტიკის პირობებში ნებისმიერი სახის სასჯელის დამძიმება ფართო მსჯელობას, ღრმა დარგობრივ კვლევასა და წარმოდგენილი მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ კანონის განმარტებით ბარათში მოყვანილი მსჯელობა სასჯელის სიმსუბუქისა და სანქციის მიერ მისი პრევენციული ფუნქციის შეუსრულებლობის შესახებ არ დასტურდება არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ფაქტებით და არც საქართველოს უზენაეს სასამართლოში წარმოდგენილი სტატისტიკით.

1.2.3. მომხმარებლისა და გამსაღებლის გამიჯვნის საკითხის პრობლემურობა

გარდა ზემოაღნიშნულისა, დღემდე პრობლემურია ნარკოტიკული ნივთიერების გასაღების ცნება. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი¹⁹ ერთმნიშვნელოვნად განმარტავს, რომ ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებად მიიჩნევა „სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გადაცემა ანაზღაურების სანაცვლოდ ან უფასოდ, მიუხედავად გადაცემის მიზნისა“²⁰. აღნიშნული დეფინიციის თანახმად, ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებად მიიჩნევა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლის მიერ სხვა მომხმარებლისთვის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების მიზნით

19 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „წ“ პუნქტი.

20 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

გადაცემა ან ჩუქება. რელევანტური აკადემიური ლიტერატურა ხშირად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებათა სისტემატურ მომხმარებლებში ხშირ, ფაქტობრივად, ყოველდღიურ მოვლენად მიიჩნევა ნარკოტიკული ნივთიერებების ერთმანეთისთვის გაზიარება ან სხვა მსგავსი ქმედება, რაც აუცილებლად აქცევს მათ ნარკოტიკული ნივთიერების „გამსაღებლებად“, ქართული კანონმდებლობის გაგებით, თუმცა ამგვარი მსჯელობა არსებითად პრობლემურია, ვინაიდან ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებლები და გამსაღებელი, ხშირად ერთსა და იმავე მომხმარებელთა ჯგუფს განეკუთვნებიან²¹. დარგობრივ ლიტერატურაში შეჭერებულია პოზიცია იმის შესახებ, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი, რომელიც მაღალი ინტენსივობით მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებებს, ხშირად იღებს სხვისგან აკრძალულ ნივთიერებებს, ან ასევე ხშირად გადასცემს ნარკოტიკულ საშუალებას ან მის პრეკურსორს სხვა მომხმარებელს²². ასეთი ქმედება ავტომატურად არ უნდა ფასდებოდეს ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებად. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იქნებოდა, თუ ქართული კანონმდებელი გაითვალისწინებდა სამეცნიერო აზრს და ნარკოტიკული ნივთიერების გასაღებას დაუკავშირებდა ისეთ ქმედებას, რომელიც გულისხმობს სისტემატურ და განგრძობად საქმიანობას და მიმართულია კომერციული სარგებლის მიღებისკენ.

შეჯამების სახით, ხაზი უნდა გაესვას, რომ სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პრევენციის ერთადერთ ქმედით მექანიზმად ისედაც მკაცრი სასჯელის უფრო დამძიმების შემოთავაზება კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო უარს ამბობს თავისი სოციალური ფუნქციის შესრულებასა და ზრუნვაზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე და ტრადიციული, რეპრესიული მეთოდებით ცდილობს ქვეყანაში ნარკოვითარებისა და მასთან დაკავშირებული საფრთხის კონტროლს ან კონტროლის იმიტაციას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განხორციელებული ცვლილებები უნდა შეფასდეს მკვეთრად კრიტიკულად, როგორც ჰუმანური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის პროცესში უკან გადადგმული ნაბიჯი.

21 Blaustein, Jarrett, Miki McLay, and Jude McCulloch. "Secondary harm mitigation: A more humanitarian framework for international drug law enforcement." *International Journal of Drug Policy* 46 (2017): 66-73.

22 Coomber, Ross. "Pusher Myths." *Re-Assessing the Drug Dealer* (2006).იბ. ასევე. Chatwin, Caroline, and Gary Potter. "Blurred boundaries: The artificial distinction between "use" and "supply" in the UK cannabis market." *Contemporary Drug Problems* 41.4 (2014): 536-550.

2. ნარკოდანაშაულის სტატისტიკური მონაცემების შეფასება

სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყანაში როგორც ნარკოპოლიტიკის განმსაზღვრელი, ისე გატარებული ნარკოპოლიტიკის ეფექტიანობის შეფასების მნიშვნელოვანი პარამეტრია. 2021 წელს ნარკოვითარების ტენდენციების შესაფასებლად გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებიდან. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განხორციელდა ნარკოტიკული დანაშაულების რეგისტრაციის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, და გამოტანილი განაჩენების სტატისტიკური შეფასება. ასევე, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამოითხოვა ინფორმაცია ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა შეწყალების შესახებ. შეფასების მიღმა არ დარჩენილა არც იძულებითი ნარკოტესტირების საკითხი, რომელიც ბოლო წლებში კლებადი დინამიკით გამოირჩევა. დოკუმენტის შემდეგ ნაწილში ნაჩვენებია და მიმოხილული იქნება აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები.

თუმცა ჯერ კიდევ უცნობია, როგორ აისახა Covid-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემია და დაწესებული შეზღუდვები დანაშაულების (მათ შორის ნარკოტიკული დანაშაულების) ჩადენის სტატისტიკაზე. 2020-2021 წლებში საქართველოში მოქმედებდა ე.წ. კომენდანტის საათი²³. ამასთან, არ ან შეზღუდულად მუშაობდა ღია და დახურული გასართობ-გასტრონომიული სივრცეები, რასაც შესაძლოა, გავლენა მოეხდინა როგორც ნარკოდანაშაულის ჩადენის, ისე ჩადენილი დანაშაულების რეგისტრირების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და განაჩენების სტატისტიკაზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ პანდემიის მწვავე ეტაპის გადალახვის შემდგომ წლებში ცალკეულად შეფასდეს პანდემიის გავლენა ნარკოდანაშაულის ჩადენის კონტექსტში და განახლებული სტატისტიკა შედარდეს Covid-19-ის ინფექციის მაღალი გავრცელების პირობებში დამუშავებულ სტატისტიკას.

23 საქართველოში კომენდანტის საათი 2020 წლის 9 ნოემბრიდან შვიდ დიდ ქალაქში, ხოლო 26 ნოემბრიდან მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედებდა. კომენდანტის საათი 2021 წლის 30 ივნისამდე გაგრძელდა. იხ. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) ანგარიში, „პანდემიასთან ბრძოლის 18 თვე. ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი“, 2021. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/380IWYr>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.


2.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს ქვეყანაში რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკას, რაც წარმოდგენილ ანგარიშზე მუშაობისას ერთ-ერთ ძირითად წყაროდ იქნა გამოყენებული. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის თანახმად, ქვეყანაში 2021²⁴ წელს სულ გამოვლინდა 3873 ნარკოტიკული დანაშაული. აღნიშნული რიცხვი 12%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში ნარკოტიკული დანაშაულის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2019 წელს დაფიქსირდა – ქვეყნის ტერიტორიაზე, ჯამში, 6415 ნარკოტიკული დანაშაული დარეგისტრირდა. თვალსაჩინოებისთვის, ბოლო 4 წელიწადში ნარკოტიკული დანაშაულების სტატისტიკური ინფორმაცია ასეთია²⁵:

2018	2019	2020	2021
4239	6415	3452	3873

მომდევნო გრაფიკულ გამოსახულებაში კი შეჯამებულია ყველაზე გავრცელებული ოთხი დანაშაულის რეგისტრაციის მაჩვენებელი, იმავე პერიოდში.

2018-2021 წლებში რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულების დინამიკა



24 შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, 2021 წ., ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3N3Wvon>, წვდომის თარიღი 01.04.2022 წელი.

25 შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018-2021 წლების რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LCXVWk>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი

მითითებული გრაფიკული გამოსახულება²⁶ ნარკოდანაშაულის დინამიკის შესახებ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას გვაძლევს. კერძოდ, 2019 წელს ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულების დინამიკა მზარდი იყო. ჯამში 51%-იანი მატება, წინა წელთან შედარებით. აღნიშნული მსჯელობა მიემართება ცალკეულ დანაშაულებსაც. აღსანიშნავია, რომ 2019 წელს არ გაზრდილა მხოლოდ ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შემოტანის დანაშაულის სტატისტიკა, თუმცა გაორმაგდა როგორც ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების, ისე ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის კულტივირების დანაშაულები. სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ზრდის მაჩვენებელი, რომელიც ნარკოტიკული საშუალების შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნასა და გასაღებას მოიაზრებს, მითითებულ წელს 26%-ს შეადგენდა. 2019 წლის მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ეს იყო ბოლო წელი, Covid-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემიის დაწყებამდე. შესაბამისად, შესაძლოა, 2020 და 2021 წლების სტატისტიკა, რიგი მიზეზების გამო, არ ასახავდეს ნარკოვითარებისა და ნარკოდანაშაულის სრულ სურათს.

როგორც აღინიშნა, 2020 და 2021 წლებში მოქმედებდა გადაადგილების შეზღუდვა და ე.წ კომენდანტის საათი, რაც საპოლიციო ძალებისა და მექანიზმების მეშვეობით კონტროლდებოდა. ამას შესაძლოა, გამოეწვია საპოლიციო რესურსის პანდემიით შექმნილი ვითარების კონტროლისკენ მიმართვა, რამაც შეასუსტა სამართალდამცავი ორგანოების ყურადღება ნარკოტიკული დანაშაულებისა და ნარკომომხმარებლების კონტროლის კუთხით. ამასთან, 2020 და 2021 წლების განმავლობაში უმეტესად დახურული იყო გასართობი და რეკრეაციული, ასევე გასტრონომიული სივრცეები და სოციალურ აქტივობათა უმრავლესობამ დახურულ სივრცეში გადაინაცვლა, რასაც შეიძლებოდა, დანაშაულის, მათ შორის ნარკოტიკული დანაშაულის რეგისტრაციის სტატისტიკაზე მოეხდინა გავლენა. 2021 წლის 1 ივლისიდან ქვეყანაში გაუქმდა იქამდე 8 თვის განმავლობაში უწყვეტად მოქმედი კომენდანტის საათი. აქედან გამომდინარე, ცენტრი დაინტერესდა, თუ რამდენად შეიძლებოდა, აღნიშნული ნარკოდანაშაულის სტატისტიკაზე ასახულიყო. ამ მიზნით 2021 წლის იანვარი-ივნისისა და ივლისი-დეკემბრის 6-6-თვიანი მონაკვეთების შედარებისა და მონაცემების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ წლის პირველ და მეორე ნახევარში ნარკოტიკული დანაშაულის სტატისტიკას საგულისხმო ცვლილება არ განუცდია.


26 გრაფიკული გამოსახულება შედგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018-2021 წლის დანაშაულის სტატისტიკაზე დაყრდნობით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ.

2.2. სისხლისსამართლებრივი დევნისა და ნარკოტიკულ დანაშაულებზე დამდგარი განაჩენების სტატისტიკა

საანგარიშო წელიწადში, წინა წელთან შედარებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მცირედით გაზრდილია. 2020 წელს 2019 წელთან შედარებით შეინიშნებოდა დევნის მაჩვენებლის მნიშვნელოვანი კლება, თუმცა აღნიშნული ტენდენცია 2021 წელს შენარჩუნებული არ არის. მაგალითისთვის, 2019 წელს ყველა სახის ნარკოტიკულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5120 პირის მიმართ, 2020 წელს კი 2946 პირი მიეცა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. 2021 წელს დევნის დაწყების მაჩვენებლის მცირედი ზრდა კვლავ შეინიშნება და საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად²⁷, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3319 პირის მიმართ, რაც წინა წელთან შედარებით დაახლოებით 10%-იან ზრდას წარმოადგენს.

ბოლო სამ წელიწადში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკის გრაფიკული გამოსახულება:

ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე დევნის დაწყების სტატისტიკა 2019-2021 წლებში




ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკული დანაშაულები, შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება; მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შეძენა შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირებაა. აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით, ყველაზე მეტი სისხლისსამართლებრივი დევნაც სწორედ ამ დანაშაულებზე იწყება. 2021 წელს ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის 260-ე, 265-ე

27 საქართველოს პროკურატურის 2022 წლის 28 თებერვლის N13/11279 წერილი და მისი დანართი.

და 273 პრიმა მუხლების საფუძველზე დაიწყო. რაც შეეხება 273-ე მუხლის საფუძველზე დაწყებულ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელს, რომელიც ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას, ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებას გულისხმობს, ბოლო 3 წლის განმავლობაში კლებითი ტენდენციით გამოირჩევა.

2021 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილული 2593 პირის ბრალდების საქმიდან 2569 პირის მიმართ გამოვიდა გამამტყუნებელი განაჩენი, 6 პირი გამართლდა, ხოლო 18 პირის მიმართ განხილული საქმე დასრულდა სასჯელის დაუნიშნავად. აღსანიშნავია, რომ, ზოგადად, ყველა სახის ნარკოტიკულ დანაშაულზე შემცირებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა²⁸. თუ 2020 წელს გამოტანილი განაჩენების 20%-ში მოსამართლემ ბრალდებულებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, 2021 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 13.7%-მდე შემცირებული²⁹, რაც იმას ნიშნავს, რომ 2569 მსჯავრდებულიდან, თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 354 პირს დაენიშნა³⁰. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის საფუძველზე განხილულ საქმეებზე დანიშნული სასჯელების სტატისტიკას, ამ მხრივაც, 2021 წელს კლებადი ტენდენცია გამოიკვეთა. 260-ე მუხლით მსჯავრდებული 1253 პირიდან სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ 303 პირს შეუფარდა, რაც 260-ე მუხლზე თავისუფლების აღკვეთის 24.1%-იან მაჩვენებელს ნიშნავს. 2019 და 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 29%-სა და 34%-ს უტოლდებოდა. ყველაზე გავრცელებულ დანაშაულებზე გამამტყუნებელი განაჩენისა და თავისუფლების აღკვეთის სტატისტიკა შემდეგნაირია:

ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამამტყუნებელი განაჩენისა და თავისუფლების აღკვეთის სტატისტიკა, 2020-2021 წლები




28 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, „ნარკოპოლიტიკა საქართველოში. 2020 წლის ტენდენციები“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LqNK6R>.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.03.2022 წლის N პ-169-22 წერილი, 2020-2021 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენებისა და დანიშნული სასჯელების სტატისტიკა.

30 იქვე.

2021 წელს, შეიძლება ითქვას, პირველი ინსტანციის სასამართლოები ინტენსიურად იყენებდნენ არასაპატიმრო სასჯელებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა წლებთან შედარებით, 2021 წელს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ყველაზე იშვიათად გამოიყენებოდა, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. საანგარიშო წელს სასამართლოს მიერ ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო პირობითი სასჯელი. განხილულ საქმეთა 56%-ში მსჯავრდებულებს სწორედ პირობითი სასჯელი დაენიშნათ. ამასთანავე, სასამართლო ინტენსიურად მიმართავდა ჯარიმასა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას და მათი პროცენტული წილი დანიშნულ სასჯელებში, შესაბამისად, 15 და 14 პროცენტს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა 2021 წელს ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის 265-ე, 273-ე და 273¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის დაინიშნა. ჯამურად, ბოლო 3 წლის განმავლობაში ნარკოტიკული დანაშაულებისთვის დანიშნული სასჯელების სტატისტიკური განაწილება ასეთია:



აქვე აღსანიშნავია, რომ 2021 წელს, წინა წლების მსგავსად, საქმეთა აბსოლუტური უმრავლესობა, კონკრეტულად კი 88.2%, საპროცესო შეთანხმების გზით დასრულდა. 2019 და 2020 წლებში აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 92%-სა და 89%-ს შეადგენდა³¹.


31 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, „ნარკოპოლიტიკა საქართველოში. 2020 წლის ტენდენციები“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LqNK6R>.

2.3. იძულებით ნარკოტესტირებაზე მოქალაქეთა წარდგენის დინამიკა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი წლების განმავლობაში პრობლემურად მიიჩნევდა და აკრიტიკებდა სამართალდამცავი სისტემის თანამშრომელთა მიერ მოქალაქეთა იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებაზე წარდგენის პრაქტიკასა და შესაბამის კანონმდებლობას. ამავე კრიტიკას ავითარებს საერთაშორისო ორგანიზაცია „Human Rights Watch“, რომელიც თავის 2018 წლის ანგარიშში მიუთითებს, რომ პრობლემურია როგორც იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებაზე წარდგენილ პირთა რაოდენობა, ასევე პირის ლაბორატორიულ კვლევებზე გადაყვანის საკანონმდებლო სტანდარტი³². ხსენებულ ანგარიშში „Human Rights Watch“ ყვრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც, 2012-2016 წლებში საქართველოში იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებაზე ჯამში გადაიყვანეს 193 918 პირი, რომელთაგანაც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება მხოლოდ ერთ მესამედს დაუდასტურდა.³³

აღსანიშნავია, რომ ნარკოლოგიურ ტესტირებებზე პირთა წარდგენის მაჩვენებელი 2016 წლიდან თითქმის ყოველწლიურად იკლებს. მაგალითისთვის, მაშინ, როდესაც მხოლოდ 2013 წელს 60 000-ზე, ხოლო 2014 წელს 50 000-ზე მეტი პირი დაექვემდებარა იძულებით ნარკოლოგიურ ტესტირებას, 2017 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, შესაბამისად, 5 წლის განმავლობაში, ჯამურად, იძულებით ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანილ პირთა საერთო ოდენობამ 41 504 პირი შეადგინა³⁴. ნარკოლოგიური ტესტირების რაოდენობის კლების ამგვარი ტენდენცია ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა სტატისტიკა 2017-2021 წლები




32 საქართველოს „კანონი პოლიციის შესახებ“ მუხ. „გ“ და „დ“ დოკ. ნრ: 1444-ლს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3K7XI25>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

33 Human Rights Watch, Harsh Punishment The Human Toll of Georgia's Abusive Drug Policies, 2018, p 28, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iMcDgP>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

34 შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა იძულებით ნარკოტესტირებაზე წარდგენის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3w6uq94>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

შემოწმების რაოდენობის კლება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფოს ადამიანური და ფინანსური რესურსის რაციონალური ხარჯვის ნაწილში, არამედ აუმჯობესებს მოქალაქეთა, განსაკუთრებით ნარკოტიკულ ნივთიერებებთან შეხების არმქონე პირთა მდგომარეობას და ამცირებს თვითნებური და დაუსაბუთებელი შემოწმებით გამოწვეულ დისკომფორტსა და შესაძლო არასათანადო მოპყრობის რისკს.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ 2021 წელს გაგრძელდა იძულებით ნარკოტესტირებაზე პირთა წარდგენის ინტენსივობის კლება. აღნიშნული კლება შესამჩნევია არა მხოლოდ იმ წლებთან შედარებით, როდესაც ნარკოლოგიურ ტესტირებათა რაოდენობა შემამფოთებელ ნიშნულს აღწევდა, არამედ 2020 წელთან შედარებითაც კი, როდესაც ბოლო წლების განმავლობაში ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა მაჩვენებელი საგრძნობლად იყო შემცირებული და 4936-ს შეადგენდა. 2021 წელს, როგორც გრაფიკულ გამოსახულებაზეც ჩანს, ნარკოტესტირებას დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობამ 4225 შეადგინა, რომელთაგან 2689-ს დაუდასტურდა რომელიმე ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება. აღსანიშნავია, რომ უკვე მეორე წელია, ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთაგან 60%-ზე მეტს უდასტურდება ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, რაც ასევე გაუმჯობესებულ მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.



თუმცა გაურკვეველია, წარმოადგენს თუ არა ნარკოლოგიურ შემოწმებაზე გადაყვანის ინტენსივობის კლება შინაგან საქმეთა სამინისტროს გააზრებულ სტრატეგიას ან ცვლილებას ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის მიმართულებით. შესაძლოა, აღნიშნული კლება გამოწვეული იყოს პანდემიისგან შექმნილი ვითარებითაც, რო-

მელსაც ადამიანთა მობილობასა და ღია სივრცეში გადაადგილებაზე მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა. მეორე მხრივ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით,³⁵ ქვეყანაში მოხდა ნარკოტიკული საშუალება მარიხუანის მოხმარების ნაწილობრივი ლეგალიზაცია. თუ მივიჩნევთ, რომ პრობლემურ წლებში ნარკოტესტირებაზე პირის წარდგენის მთავარი არგუმენტი მარიხუანის მოხმარების გამოვლენა იყო, შესაძლოა, ხსენებული გადაწყვეტილების საფუძველზე, პირთა მარიხუანის მოხმარებაზე ტესტირების მექანიზმის ძალა შესუსტდა და სწორედ ამან განაპირობა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებაზე იძულებითი ტესტირების რაოდენობის კლება.

ნარკოტიკულ შემოწმებაზე პირთა გადაყვანის სტატისტიკის კლების ტენდენცია ერთმნიშვნელოვნად დადებითად უნდა შეფასდეს. სოციალური სამართლიანობის ცენტრი შემდგომ წლებშიც განაგრძობს ამგვარ სტატისტიკაზე დაკვირვებას, რაც მოგვცემს დინამიკაში სიტუაციის ცვლილების შესახებ უფრო დასაბუთებული და ფაქტებით გამაგრებული არგუმენტაციის საშუალებას.


2.4. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე

2021 წელს ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ცვლილება არ შესულა. ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ან მცირე ოდენობით ფლობა, პირველ ჯერზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით დაწესებული სანქციით, 500-ლარიანი ჯარიმით ან 15 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობით ისჯება³⁶. პიროვნების მიერ ნარკოტიკული საშუალების წელიწადში მეორედ მოხმარებისთვის სანქციას კი სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი ითვალისწინებს. აღნიშნულისგან განსხვავებული წესი მოქმედებს მცენარე კანაფის ან მარიხუანის მოხმარებასთან ან მცირე ოდენობით ფლობასთან დაკავშირებით. პირად საკუთრებაში არსებულ არასაჯარო სივრცეში მარიხუანის მოხმარება არ ისჯება, თუმცა კანონმდებელი მთელ რიგ შემთხვევებში მარიხუანის მოხმარებას კრძალავს და ჯარიმის შესაბამის სანქციასაც აწესებს, რომლის ოდენობაც 500-იდან 2000 ლარამდე მერყეობს. აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მარიხუანის მოხმარების გამო სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და საპატიმრო სასჯელს.

35 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qMOIYI>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

36 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლი.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების დინამიკის შესასწავლად, საქართველოს უზენაესი სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა 2020-2021 წლების სტატისტიკა. 2021 წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის როგორც 45-ე, ისე 45¹ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა³⁷.



როგორც წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, ჯამში, 2021 წელს 719 პირს დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ან მცირე ოდენობით ფლობის ფაქტზე, რომელთაგან მხოლოდ 4 ადამიანს შეეფარდა პატიმრობა. რაც შეეხება ნარკოტიკულ საშუალება მარიხუანასთან დაკავშირებულ სტატისტიკას, 1313 სახდელდაკისრებულ პირთაგან ყველას დაენიშნა ჯარიმა, ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, აღარ ითვალისწინებს საპატიმრო სახდელს მარიხუანის მოხმარებისთვის.³⁸

აქვე ცალკე უნდა შეფასდეს მოსამართლის მიერ თავისი დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებისა და მარიხუანის მოხმარების ფაქტზე მოქალაქისთვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების დინამიკა. აღსანიშნავია, რომ სიტყვიერი შენიშვნა არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სახდელს და, შესაბამისად, არც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45¹ მუხლი ითვალისწინებს ამგვარ სანქციას, თუმცა მოსამართლეს აქვს უფლებამოსილება, რომ მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას დამრღვევი გაათავისუფლოს

37 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.03.2022 წლის N პ-170-22 წერილი, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკისა და გამოყენებული სახდელების შესახებ.

38 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის გადაწყვეტილება №1/3/1282 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჭაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qMOIYI>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და გამოუცხადოს სიტყვიერი შენიშვნა³⁹. იქიდან გამომდინარე, რომ სიტყვიერი შენიშვნა არ წარმოადგენს სახდელის ფორმას, სასამართლოში წარდგენილი პირი სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების შემდგომ არ მიიჩნევა ადმინისტრაციულსახდელდადებულ პირად. შედარებისთვის, 2020 წელს, ასკ-ის 45-ე მუხლით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთა 6.8%-ს გამოუცხადეს სიტყვიერი შენიშვნა; 45¹ მუხლთან მიმართებით, ეს მაჩვენებელი 18%-ს წარმოადგენდა. რაც შეეხება 2021 წელს, 45-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების მაჩვენებელი თითქმის 10%-ს შეადგენდა, 45¹ მუხლზე კი – 19%-ს. სოციალური სამართლიანობის ცენტრი იმედს გამოთქვამს, რომ აღნიშნული სტატისტიკა შემდგომ წლებში პოზიტიური დინამიკით გაგრძელდება და წახალისებულ იქნება მოსამართლეთა მიერ სახდელის დაკისრების ალტერნატიული მექანიზმის გამოყენება, სიტყვიერი შენიშვნის სახით.

2.5. შეწყალების მექანიზმი


შენწყალება, როგორც საქართველოს პრეზიდენტის ექსკლუზიური უფლებამოსილება⁴⁰, მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ეფექტიანად იყენებს საქართველოს პრეზიდენტი ამ მექანიზმს და რამდენად სტრატეგიულად უდგება ნარკოდანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გამოსწორებას, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოითხოვა ინფორმაცია 2019-2021 წლებში პრეზიდენტის მიერ ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა შეწყალების ან, შესაბამისად, სასჯელმოხდილ პირთათვის ნასამართლობის მოხსნის შესახებ⁴¹.

39 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი.

40 საქართველოს კონსტიტუციის 52-ე მუხლი.

41 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 28.02.2022 წლის N 1359 წერილი, პრეზიდენტის მიერ 2019-2021 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა შეწყალების სტატისტიკის შესახებ.

შენწყალბულ პირთა რაოდენობა 2019-2021 წლებში




საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გვაცნობეს, რომ 2019-2021 წლებში, ჯამში, ყველა დანაშაულზე, საქართველოს პრეზიდენტმა შეინყაღა 161 პირი, რომელთაგან: 135 მსჯავრდებული გათავისუფლდა სასჯელის შემდგომი მოხდისგან, 25 პირს შეუმცირდა სასჯელი, ხოლო 1 პირს მოეხსნა ნასამართლეობა.

რაც შეეხება ნარკოტიკულ დანაშაულზე მსჯავრდებულ პირებს, მათგან 3 წლის განმავლობაში სულ 25 პირს შეეხო პრეზიდენტის შეწყალების აქტი – 2019 წელს 8, 2020 წელს 7, 2021 წელს კი ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მსჯავრდებული 10 ადამიანი გახდა პრეზიდენტის შეწყალების სუბიექტი. აღსანიშნავია, რომ მცირეა არა მხოლოდ ნარკოტიკულ დანაშაულებზე, არამედ, ზოგადად, ყველა დანაშაულზე მსჯავრდებულთა შეწყალების მაჩვენებელი. 3 წლის განმავლობაში ჯამურად 25 ადამიანის შეწყალება არ წარმოადგენს არსებით აქტს ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, რაც მიუთითებს იმაზე, რომ აღნიშნულ პირთა სოციალური და უფლებრივი რეაბილიტაცია არ წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას პრეზიდენტის დღის წესრიგში.

ხსენებული საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც, საქართველოში არსებული მკაცრი კანონმდებლობის პირობებში, შეწყალების ინსტიტუტს აქვს იმის რესურსი, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებული პირებისთვის ყოფილიყო სასჯელალსრულების დაწესებულების დროზე ადრე დატოვების ერთ-ერთი ქმედითი მექანიზმი. მაგალითისთვის, სწორედ მკაცრი კანონმდებლობით გამოწვეული მაღალი სასჯელების ერთგვარი დაბალანსების მცდელობა იყო საქართველოს წინა პრეზიდენტის მიერ შეწყალების მექანიზმის აქტიური გამოყენება. 2014-2018 წლებში საქართველოს პრეზიდენტმა ჯამში შეინყაღა 4211 პირი, რომელთაგან 2275 მსჯავრდებული იყო ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენისთვის. აღნიშნული წლების შეწყალების სტატისტიკური მაჩვენებელი შემდეგნაირია⁴²:

42 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის 14.03.2022 წლის N 1598 წერილი, პრეზიდენტის მიერ 2014-2018 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებულ პირთა შეწყალების სტატისტიკის შესახებ.

შეწყალბულ პირთა რაოდენობა 2014-2018 წლებში



მოცემულ სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით აშკარაა, რომ წინა პრეზიდენტი უფრო ინტენსიურად და ფართო მასშტაბით იყენებდა შეწყალბების მექანიზმს. 2014-2018 წლებში იმჟამინდელი პრეზიდენტის მიერ შეწყალბების უფლებამოსილების გამოყენება, განსაკუთრებით ნარკოდანაშაულთან მიმართებით, წარმოადგენდა ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებული პირების უფლებრივი რეაბილიტაციის ერთ-ერთ ყველაზე ქმედით და მასშტაბურ მექანიზმს.

3. პრევენცია და ზიანის შემცირება

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენცია სახელმწიფოს მიერ შემუშავებული ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის 2021-2026 წლის ეროვნული სტრატეგიის⁴³ ერთ-ერთი საკვანძო საკითხია. ხსენებული დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე კონკრეტულ ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებში ნარკოტიკებთან დაკავშირებული რისკებისა და ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე, ზიანის შემცირების კონტექსტში. წარმოდგენილი სტრატეგია შეიცავს რიგ პოზიტიურ დათქმებს, მაგალითად, სკოლაზე, სამეზობლო-სა და თემზე დაფუძნებული პრევენციის დანერგვის შესახებ, თუმცა დოკუმენტში ყურადღება არ ეთმობა ჰუმანური ნარკოპოლიტიკის გატარების როლს ნარკოტიკული დანაშაულისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრევენციის კონტექსტში.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დოკუმენტის მთავარ ამოსავალ წერტილს საკითხის შესახებ ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია იმ სასწავლო პროგრამებისა თუ საპილოტე პროექტების შესახებ, რომლებიც საქართველოს საჯარო სკოლებშია დანერგილი ან რომლის განხორციელებაც მიმდინარე წლებში იგეგმება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს საჯარო სკოლებში, სხვადასხვა საფეხურზე, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და მავნე ნივთიერებების შესახებ ინფორმაცია ინტეგრირებულია სასწავლო პროგრამაში. სამინისტროს წერილიდან ირკვევა, რომ აღნიშნული საკითხი არა დამოუკიდებლად და ცალკეულად, არამედ ზოგადი, ცხოვრების ჯანსაღი წესის თემით შედის სასწავლო პროცესში. მაგალითისთვის, სამინისტრო მიუთითებს კომიქსებისა და ვიდეოს კონკურსებს, რომელიც მიმართულია ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისკენ.

რაც შეეხება ცალკეულ პროგრამებს, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2020-2021 წლებში საქართველოს 11 საჯარო სკოლაში განხორციელდა ორი ინტენსიური პროგრამა – „სკოლის პერსონალისათვის და მოსწავლეებისთვის მისაწოდებელი ნარკოპრევენციის პროგრამა“ 13 წელს ზემოთ მოზარდებისთვის, რომლის ფარგლებშიც 109 სესია ჩატარდა, და იმავე თემატიკის პროგრამა 13 წლამდე მოსწავლეებისთვის, რომლის ფარგლებშიც გაიმართა 65 სესია.⁴⁴ სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ სპეციალიზებული სწავლებისა და პროექტების მასშტაბი, ჯერჯერობით, ძალიან დაბალია და ამ

43 ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3yfhf8t>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

44 საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 16.03.2022 წლის MES 7 22 0000269722 წერილი.

ეტაპზე შეუძლებელია ამ პროგრამებით არასრულწლოვანების მიერ ნივთიერებების ავადმომარების პრევენციის საკითხის შეფასება ან განხორციელებული პროგრამების ეფექტიანობაზე საუბარი.

3.1. ნარკოტიკული საშუალებებით ზედოზირებისას ლეტალური შედეგის პრევენცია

ნარკოტიკული ნივთიერებების ზედოზირებით გამოწვეული გარდაცვალების მაჩვენებლის კლება ზიანის შემცირების კონცეფციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. ზედოზირების შემთხვევებისთვის განკუთვნილი პრეპარატი, ნალოქსონი⁴⁵, საქართველოში მიეკუთვნება II ჯგუფის პრეპარატების სიას და გაიცემა ფორმა 3 რეცეპტით. აღნიშნული მედიკამენტის ადმინისტრირება ხდება იმ პაციენტის მიმართ, რომელიც განიცდის ოპიატების მოხმარებით გამოწვეულ ზედოზირებას, აქედან გამომდინარე, მიეკუთვნება სასიცოცხლო მნიშვნელობის სამედიცინო საშუალებათა კატეგორიას. საქართველოში ნარკოპოლიტიკასა და ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ ნალოქსონი უნდა ამოიღონ რეცეპტული მედიკამენტების სიიდან⁴⁶, რადგან მის სწრაფ ადმინისტრირებას, შესაბამისად, მის მართვს ხელმისაწვდომობას, დიდი მნიშვნელობა აქვს ზედოზირების შემთხვევებზე სწრაფი რეაგირებისთვის.

ნალოქსონზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მრავალი ევროპული ქვეყნისთვისაც პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. ევროპის ქვეყანათა უმრავლესობაში მოქმედებს „Take Home Naloxone“ კონცეფცია, რაც ნარკომომხმარებელთათვის, მათი ოჯახის წევრებისა თუ უახლოესი გარემოცვისთვის ნალოქსონის გადაცემას და მისი მოხმარების შესახებ დეტალური სწავლების შეთავაზებას გულისხმობს. ნალოქსონის გაცემაზე უფლებამოსილი პირები არიან ნარკოტიკულ საშუალებებზე და ნარკომომხმარებელთან მომუშავე სათემო ორგანიზაციები ან სერვისის მიმწოდებელი ჯანდაცვის დაწესებულებები. კონცეფციის მთავარ მიზანს წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა შორის ნალოქსონზე მაღალი ხელმისაწვდომობის შექმნა. ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ, მაგალითად, იტალიამ და საფრანგეთმა⁴⁷ ნალოქსონი, მისი სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, ურეცეპტო მედიკამენტების სიაში შეიტანა, შესაბამისად, მისი შეძენა ნებისმიერ პირს ავთოაქში შეეძლება.

45 ნალოქსონის ჰიდროქლორიდი თრგუნავს მორფინის, ჰეროინის, კოდეინის, მეთადონის, ფენტანილისა და სხვა ოპიატების მოქმედებას.

46 ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/38KcNn8>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

47 ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EMCDDA), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3NMpiir>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

საქართველოში „ნაიღე სახლში ნალოქსონის“ პროგრამას სათემო ორგანიზაციები 2009 წლიდან ახორციელებენ. პროგრამის ფარგლებში, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებზე წლიურად 15 ათასამდე ნალოქსონის დოზა გაიცემა, რაც ზიანის შემცირების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა ზიანის შემცირების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები ნალოქსონის ამოღებას რეცეპტული მედიკამენტების სიიდან საკვანძო მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევენ.⁴⁸

გემოთ ხსენებული ორგანიზაციების რეკომენდაცია ნაწილობრივ გაითვალისწინა საქართველოს მთავრობამ და 2022 წლის 22 მარტს მიღებული დადგენილებით, პრეპარატი ნალოქსონი დაემატა „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ მედიკამენტების სიას.⁴⁹ აღსანიშნავია, რომ ეს არ ნიშნავს ნალოქსონის რეცეპტული მედიკამენტების სიიდან ამოღებას – ცვლილების საფუძველზე, მოქალაქე შეძლებს მედიკამენტის შეძენას „პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას“.⁵⁰ თუ რამდენად აღმოფხვრის საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილება ნალოქსონზე ხელმისაწვდომობის პრობლემას, ამას შემდგომ თვეებსა და წლებზე დაკვირვება აჩვენებს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ დროულად უზრუნველყოს სააფთიაქო ქსელების ინფორმირება აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით და, ასევე, დროულად შეივსოს აფთიაქებში ნალოქსონის მარაგი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არ დაემატოს აფთიაქში ამ მედიკამენტის შეძენისას რაიმე ფორმალური პროცედურები, რათა არ გაჭიანურდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტის სწრაფი შეძენა.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს, ნალოქსონის „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ მედიკამენტთა სიაში გადატანასთან ერთად, უზრუნველყოს სამიზნე ჯგუფის სწორი ინფორმირება ზედოზირების ფაქტის იდენტიფიცირებისა და ნალოქსონის შეძენისა და ადმინისტრირების შესახებ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მათ შესთავაზოს შესაბამისი მოსამზადებელი სწავლება.

48 ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3MNxmOw>, წვდომის თარიღი 01.04.2022 წელი.

49 საქართველოს მთავრობის 2022 წლის 22 მარტის N 141 დადგენილება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3F6WJln>, იხ. ასევე, „გადაუდებელი დახმარების ჩანთის“ სიის მედიკამენტები: <https://bit.ly/3LH0PtI>.

50 საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N 166 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ავტორიზებულ აფთიაქსა და აფთიაქში (სპეციალიზებულ სავაჭრო ობიექტში) ორიგინალური შეფუთვის დაშლისა და დაფასოების გზით, პაციენტის ინდივიდუალური საჭიროებისათვის შესაბამისი ოდენობით, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, დანართი N 1.1 „გადაუდებელი დახმარების ჩანთა“, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FcFghz>.

3.2. ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამები

ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიები მიჩნეულია ოპიოიდებზე დამოკიდებულების მკურნალობისა და მართვის ყველაზე ეფექტიან ღონისძიებად. საქართველოში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიებისას გამოიყენება მეთადონი და სუბოქსინი/ბუპრენორფინი, რომლებიც წელი მოქმედების ოპიოიდებს წარმოადგენს და ამ ნივთიერებებით ნაცვლდება სწრაფი მოქმედების ოპიოიდები, როგორებიცაა: პეროინი, დეზომორფინი, ფენტანილი და სხვა. ჩანაცვლებით თერაპიებთან დაკავშირებით სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2021 წელს მოამზადა როგორც საინფორმაციო ბროშურები⁵¹, ისე კვლევითი დოკუმენტები⁵².

2021 წელს ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან (შემდგომში ჯანდაცვის სამინისტრო) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან. სპეციალური პენიტენციური დეპარტამენტიდან სოციალური სამართლიანობის ცენტრს ეცნობა, რომ მეთადონით დეტოქსიკაციის თერაპია შეთავაზებულია მხოლოდ ორ – N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში, თუმცა სამინისტრო თავად არ აღრიცხავს პროგრამაში ჩართულ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს. შესაბამისად, წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში, მოკლებული ვართ პროგრამის მიმდინარეობის, ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობისა და პროგრამის მასშტაბების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას⁵³.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ სოციალური სამართლიანობის ცენტრისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე 2021 წელს ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპიებში, ჯამში, ჩართული იყო 15820 ადამიანი, რომელთაგან 2700 ადამიანი პროგრამაში ჩაერთო უშუალოდ 2021 წელს⁵⁴. აღსანიშნავია, რომ სამინისტროსადმი გაგზავნილი წერილით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოითხოვდა ინფორმაციას, 2021 წელს ჯანდაცვის სამინისტროში ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართვის მსურველთა მიერ პროგრამაში ჩართვის მიზნით შეტანილი განცხადებების ჯამური ოდენობისა და ამ განცხადებებზე პოზიტიური გადაწყვეტილების სტატისტიკის ან უარის თქმის

51 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „რა არის ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია?“, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qOO8nP>.

52 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ოპიოიდებზე დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამები პენიტენციურ სისტემაში“, 2021, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LrxLp4>.

53 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 14.03.2022 წლის N70010/01 წერილი.

54 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 30.03.2021 წლის N 01/8525 წერილი.

მიზნების შესახებ. ჯანდაცვის სამინისტრომ სოციალური სამართლიანობის ცენტრის ეს შეკითხვა უპასუხოდ დატოვა და არ მოუწოდებია ინფორმაცია პროგრამაში ჩართვის მსურველთა საერთო რაოდენობისა და განცხადებებზე გადაწყვეტილების მიღების სტატისტიკის შესახებ. აქედან გამომდინარე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი წარმოდგენილი დოკუმენტით ვერ შეაფასებს, თუ რამდენად ხელმისაწვდომია პროგრამაში ჩართვა ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა ფართო წრისა და პროგრამაში ჩართვის მსურველ პირთათვის.

2020-2021 წლებში, Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის გამო, დღის წესრიგში არაერთხელ დადგა ჩანაცვლებითი პროგრამის ბენეფიციარებისთვის სამკურნალო პრეპარატის ბინაზე გატანების საჭიროება. პირველად, შესაბამის ბრძანებაში⁵⁵ ცვლილება 2020 წლის მარტში შევიდა, როდესაც ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობა შეჩერდა. აღნიშნული ცვლილება პროგრამის ბენეფიციარებისთვის პრეპარატის 5-დღიანი მარაგის ბინაზე გატანების შესაძლებლობას აწესებდა. 2022 წლის 1 თებერვლიდან, ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური ვითარების გაუარესების მიუხედავად, აღნიშნული წესი საბოლოოდ გაუქმდა და ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისთვის პროგრამის ბენეფიციარები, ძველი წესის მიხედვით, ყოველდღიურად სერვისის მიმწოდებელ სპეციალურ ცენტრებში იღებენ მედიკამენტის საჭირო დღიურ ულუფას.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკებისა და ნარკომანიის მონიტორინგის ევროპული ცენტრი (EMCDDA) მხარს უჭერს ჩანაცვლებითი თერაპიის ბენეფიციარებისთვის საჭირო პრეპარატზე წვდომის გაუმჯობესებული მეთოდების დანერგვას. ცენტრის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში⁵⁶ საუბარია ჩანაცვლებითი თერაპიის ბენეფიციართათვის ნივთიერების მიწოდებისას გასათვალისწინებელ რისკსა და მათ სპეციფიკურ საჭიროებებზე. EMCDDA იზიარებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციებს⁵⁷ ჩანაცვლებითი პროგრამის ბენეფიციარების მიმართ პროგრამაში ჩართვის საწყის ეტაპზე ნივთიერების მიწოდების პროცესში განსაკუთრებული ყურადღების გამოჩენის აუცილებლობის შესახებ, თუმცა იმ პირების შემთხვევაში, რომლებიც ხანგრძლივად და სტაბილურად არიან პროგრამის ბენეფიციარები და დაბალი რისკის პირებად მიიჩნევიან, შესაძლებელია, დაინერგოს განსხვავებული მიდგომა და მიეცეთ რამდენიმე დღის სამყოფი მედიკამენტის მიღების შესაძლებლობა. რეკომენდაციების თანახმად, ამოსავალი წერტილია ის გარემოება, თუ რა

55 საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 01-41/6 ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KDtXAI>.

56 European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, 2016, „Perspectives on drugs. Strategies to prevent diversion of opioid substitution treatment medications“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qOFdTa>, წვდომის თარიღი: 01.04.2022.

57 The World Health Organization's Guidelines for the psychosocially assisted pharmacological treatment of opioid dependence, 2009, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3uKle8i>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

წარმოადგენს უპირატეს ინტერესს, პაციენტის ყოველდღიური გამოცხადება და ზედამხედველობის ქვეშ საჭირო პრეპარატის მიღება, თუ მის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციის შესრულება, როგორიცაა სამსახურის დაწყება და დასაქმება⁵⁸. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს, რომ ოპიოიდებით ჩანაცვლებით პროგრამებში სასურველია, დროულად დაინერგოს უფრო ჰუმანური მიდგომა და პროგრამის იმ ბენეფიციარებს, რომლებიც გამოირჩევიან სტაბილური ქცევით და არ დაურღვევიათ პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები და წესები, ინდივიდუალურ გარემოებებზე დაყრდნობით, მიეცეთ ჩანაცვლებითი თერაპიით განსაზღვრული მედიკამენტების ერთ ულუფაზე მეტის გატანის უფლება, რაც პროგრამის მონაწილეებს, ერთი მხრივ, შეუმსუბუქებს ყოველდღიურად ტრანსპორტირებისა და გადაადგილების პრობლემას, მეორე მხრივ კი, მოემსახურება მათ პერსონალურ თუ სამსახურებრივ განვითარებასა და სოციალური ფუნქციების შესრულების ხელშეწყობას.

58 European Monitoring Centre for Drugs and Drug Addiction, 2016, „Perspectives on drugs. Strategies to prevent diversion of opioid substitution treatment medications“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qOFdTa>, წვდომის თარიღი: 01.04.2022 წელი.

შეჯამება და რეკომენდაციები

როგორც შესწავლილმა მონაცემებმა ცხადყო, 2021 წელს ნარკოვითარების მხრივ, არ აღმოფხვრილა მთავარი გამოწვევები და არ გატარებულა ძირეული, პარადიგმული ცვლილებები. ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა კვლავ იგეგმება და ვითარდება პოლიციური, კონტროლზე დაფუძნებული ლოგიკით და საკითხზე მსჯელობა უპირატესად სისხლისსამართლებრივი და უსაფრთხოების პრიზმიდან მიმდინარეობს, ხოლო ნარკოპოლიტიკის ჯანდაცვის კომპონენტი მეტწილად მეორეულ, დამატებით საკითხად რჩება. სახელმწიფოს მიდგომა ნარკოდანაშაულებზე კვლავ მკაცრია. ამაზე მიუთითებს 2021 წელს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 261-ე მუხლებში ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებისთვის დაწესებული სასჯელის არსებითად დამძიმება. სოციალური სამართლიანობის ცენტრი მიიჩნევს, რომ კანონმდებლობის ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს ღრმა ანალიზის საფუძველზე, კვლევასა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც, სამწუხაროდ, კვლავ ქვეყნის საკანონმდებლო საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება.

თუმცა გარკვეული გაუმჯობესება შეინიშნება ნარკოვითარების სტატისტიკურ მაჩვენებლებში. ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკლებს ნარკოტესტირებაზე გადაყვანილ პირთა რაოდენობა. ამასთან, მკვეთრად არის გაზრდილი ნარკოშემოწმებებზე დადებითი პასუხის ხვედრითი წილი, რაც შესაძლოა, იმას ნიშნავდეს, რომ პოლიცია მეტწილად არა რენდომულად, არამედ გარკვეული ობიექტური სტანდარტების საფუძველზე მიმართავს მოქალაქეთა ტესტირებაზე წარდგენას. გარდა ამისა, პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება ნარკოტიკულ დანაშაულებზე მსჯავრდებული პირებისადმი არასაპატიმრო სასჯელების დაკისრების დინამიკაში. ნარკოდანაშაულებზე თავისუფლების აღკვეთა 2021 წელს წარმოადგენდა ყველაზე იშვიათად დანიშნად სასჯელს, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი სახელმწიფოს მოუწოდებს, რომ ნარკოვითარების გაუმჯობესებისა და ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის კუთხით გადადგას შემდგომი ნაბიჯები:

- ჰუმანური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის გატარება იქცეს სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებად. საკითხი აღიქმებოდეს არა საპოლიციო და სისხლისსამართლებრივი, არამედ ჯანდაცვის კუთხიდან და გატარდეს საამისოდ საჭირო საკანონმდებლო ცვლილებები;
- სახელმწიფო დაწესებულებებმა, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, პროკურატურამ და საერთო სასამართლოებმა დახვეწონ სტატისტიკური ინფორ-

რმაციის შეგროვებისა და დამუშავების მეთოდები. სახელმწიფო ორგანოებმა ნარკოტიკულ დანაშაულებზე შესაბამისი სტატისტიკა დაამუშაონ შესაბამისი მუხლის, ნაწილისა და პუნქტის გამიჯვნით;

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებისას უზრუნველყოს დაინტერესებული პირების, ექსპერტებისა და სათემო ორგანიზაციების ჩართულობა. კანონმდებლობა არ დაამძიმოს სათანადო მტკიცებულებებისა და კვლევების წარმოდგენის გარეშე, პირიქით, გადადგას ნაბიჯები მკაცრი ნარკოპოლიტიკის ძირეული გარდაქმნისა და ადამიანის უფლებებზე მორგებული პოლიტიკის გატარებისკენ;
- განათლების სამინისტროსა და ჯანდაცვის სამინისტროს შორის კოორდინირებით, გაძლიერდეს პრევენციისა და ზიანის შემცირების მიმართულებები. სახელმწიფომ ფართოდ ხელმისაწვდომი გახადოს ოპიოიდებით ჩანაცვლების პროგრამები და გააუმჯობესოს არსებული სერვისები.